

გუბერნატორმა ხაშურის № 6 საბავშვო ბაღი გახსნა

01 ნოემბერი 2017

შიდა ქართლის გუბერნატორმა კახა სამხარაძემ ახლარეაბილიტირებული ხაშურის № 6 საბავშვო ბაღი გახსნა. მხარის რწმუნებულმა მუნიციპალიტეტის გამგებელთან, გიორგი გურასპაშვილთან ერთად პედაგოგებს, აღსაზრდელებსა და მათ მშობლებს სასწავლო წლის დაწყება და ახალი სააღმზრდელო დაწესებულების გახსნა მიულოცა. ხაშურის № 6 საბავშვო ბაღი 70-იან წლებში აშენდა, შენობა ავარიული იყო და ფუნქციას ვეღარ ასრულებდა. რეაბილიტაციის შემდგომ ბაღი თანამედროვე სტანდარტებს აკმაყოფილებს. გამოიცვალა სველი ნერტილები, კარ-ფანჯარა, ბაღი აღიჭურვა ახალი ავეჯითა და ტექნიკით. სააღმზრდელო დაწესებულება გათვლილია 180 ბავშვზე. პროექტი რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა, რომლის ღირებულებამაც 759875 ლარი შეადგინა.